შვიდწლედის მეხუთე წელი იწურება.

ზევრი საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სამშობლოს უპატაკებს ახალ გამარჯვებებს

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 21 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა

თბილისელმა კერამიკოსებმა ეკონომიის ფონდში 102 ათასი მანეთი შეიტანეს.

ამხანაგებო, ჯამრავლოთ შრომითი წარმატებები, სასახელოდ დავამთავროთ სამეურნეო წელი!

ჩვენი ნობათი — სამშობლოს!

მაღაროელები დაწინაურდნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ქართველი მაღაროელები, რომლებიც თავიანთ უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, შესანიშნავი შრომითი გამარჯვებებით ხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს და საქართველოს კომუნისტთა XXII ყრილობას.

ზესტაფონელ მეტალურგთა მოწოდების პასუხად მაღაროელებმა წლიური გეგმის ერთი თვით ადრე შესრულება იკისრეს. თავიანთი სიტყვა პირნათლად გაანაღდეს. მარგანეცის ტრესტმა 21 ნოემბრისათვის შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების შვიდწლედის მეხუთე წლის დავალება და 1964 წლის ანგარიშში სამშობლოს მისცა ათასობით ტონა მარგანეცი. მაღაროელებმა შრომის ნაყოფიერება გაადიდეს და თვითღირებულების შემცირებით მარტო ათ თვეში 1.173.600 მანეთი დაზოგეს. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლენინის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროებისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივებმა. მეტი მარგანეცისათვის ბრძოლის წინა ხაზზე არიან საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატები გ. ბაქრაძე, დ. კილაძე, ბ. აბრამიშვილი, ცნობილი მაღაროელები ა. დვალიშვილი, ა. კიპაროიძე, ა. ჭიღლაძე, პ. გოგატიშვილი, ბ. კილაძე, ლ. გაფრინდაშვილი, მიხეილ და აკაკი ღუღუნიშვილები და ასობით სხვა.

მაღაროელები ახალ საწარმოო საჩუქრებს გვპირდებიან.

მამისა და შვილის შეჯიბრება

უბრალო პროფესიის ადამიანია გიორგი მახარაშვილი. მაგრამ თავისი მუყაითი შრომით თავიდანვე მიიქცია კოლექტივის ყურადღება და ახლა იგი ერთ-ერთი წარჩინებული მუშაკია საამქროში. თორმეტი წელია, რაც გიორგი კირის გამომწველის ხელშემწყობად მუშაობს კირისა და დოლომიტის საამქროში.

გიორგის დაუფასდა შრომა. მან არაერთხელ დაიმსახურა საამქროს ადმინისტრაციისა და ქარხნის დირექციის მადლობა. წელს მეტალურგის დღესთან დაკავშირებით ქების სიგელით დააჯილდოეს. ამან უფრო წაახალისა გიორგი და ახლა გაორკეცებული ენერგიით მუშაობს.

ამ დღეებში მახარაშვილმა შეჯიბრებაში გამოიწვია თავისი ვაჟიშვილი, რომელიც ასევე ხელშემწყობად მუშაობს.

მამაშვილი ჩაებნენ შრომით ფერხულში და ყოველდღიურ ნორმებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ვნახოთ, ვინ გამოვა გამარჯვებული.

პ. ცხოვრებოვი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კირისა და დოლომიტის საამქროს ცვლის უფროსი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 276 (12788) | ოთხშაბათი, 27 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

თავი ისახელეს

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის მეღორეებმა ვადაზე ადრე გაანაღდეს ღორის ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალება. ვალდებულებით ათასი ღორი უნდა გაესუქებინათ. ფაქტიურად გაასუქეს 1.200 ღორი. 80 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 90 ტონა ღორის ხორცი მიჰყიდეს.

კოლმეურნეებმა წელს გაზარდეს 1.750 გოჭი. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მარიამ ქიმიშაურს, მზია არაბულს, მარიამ წიკლაურს და სხვებს.

მეორე ადგილზე

ნაყოფიერად მუშაობს ცხაკაიას კომბინირებული ჩაის ფაბრიკა. წელს საწარმომ მიიღო და გადაამუშავა 2.246 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, გეგმა კი 2.021 ტონას ითვალისწინებდა. პირველი ხარისხის პროდუქცია ნაცვლად 495 ტონისა გამოშვებულია 549,8 ტონა. პირველი და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 10,6 პროცენტით გაიზარდა.

ამას წინათ „საქჩაის" ტრესტიდან ფაბრიკის კოლექტივმა დეპეშა მიიღო იმის შესახებ, რომ საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილებით მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ფაბრიკას მიეკუთვნა მეორე პრემია.

ნ. საჯაია.

კომუნისტური შრომის საწარმო უპატაკებს

თბილისის კერამიკული კომბინატი, რომელიც ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელწოდებას, წარმატებით ეწევა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტს. კერამიკოსებმა 11 თვის დავალების შესრულება სამშობლოს 7 ნოემბრისათვის უპატაკეს. ათ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 147 ათასი მანეთის პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იგივე საწარმოო ფართობიდან პროდუქციის გამოშვება 9 პროცენტით გაიზარდა. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 2,6 პროცენტით ამაღლდა, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 6,6 პროცენტით. გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 102 ათასი მანეთი.

წარმოების კოლექტივმა მშენებლობებს გეგმის გადამეტებით მისცა 7 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 3.900 ცალი ნახევრადფაიფურის სანტექნიკური მოწყობილობა.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან

25 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ა. ლესეჩკო, პ. ფ. ლომაკო, ნ. ს. პატოლიჩევი შეხვდნენ ამხანაგებს ა. ნოვოტნის, ი. ლენარტს, ო. შიმუნეკს, ო. ჩერნიკსა და ფ. გამოუზს.

შეხვედრის დროს გაიმართა საუბარი სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

შეხვედრამ ჩაიარა მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში, განხილულ საკითხებზე შეხედულებათა სრული ერთობის ნიშნით.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ო. პავლოვსკიმ და სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მ. ვ. ზიმიანინმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საბიუჯეტო კომისიებსა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალ მესამე სესიასთან დაკავშირებით პალატების საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ დაიწყეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვა.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

1963 წლის 22 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პ. ფ. ლომაკოს მოხსენება — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სახალხო სამეურნეო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების დაწვრილებით განსახილველად და ამ პროექტების გამო დასკვნების მოსამზადებლად შეიქმნა სახალხო მეურნეობის დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქვეკომისიები. ქვეკომისიები განიხილავენ ანგარიშს სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ქვეკომისიებში განიხილავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენელთა ინფორმაციებს მიმდინარე წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და 1964-1965 წლების საგეგმო და საბიუჯეტო დავალებათა პროექტების შესახებ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ ა. ი. ხაჩატურიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა მუსიკის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის კომპოზიტორ არამ ილიას-ძე ხაჩატურიანს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 26 ნოემბერი.

შემოდგომა ნარინჯოვანთა ველზე

ოქროს ნაყოფით დახუნძლულია გალის საწარმოო სამმართველოს კოხორის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსოვანთა ბაღები. დახლა დახრილან მანდარინებით, ფორთოხლებით და ლიმონებით დამძიმებული ტოტები და საყრდენი სარებით დაუძაგრებიათ მებაღეებს. როგორც შემან, წელსაც უხვი მოსავალია კოხორაში. ზოგიერთ ხეს ათას ორასამდე ცალი მანდარინი, ოთხასამდე ლიმონი ასხია და მათ თავზე დაჰკაშკაშებს მზე.

კოხორელი მებაღეების თავდადებულმა შრომამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. სოციალისტური ვალდებულებით დასახული გეგმა ახლა ეცოტავებათ. როცა კოხორაში შერჩევითი კრეფა იწყებოდა, აქაურმა მებაღეებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს. სამ დღეში მათ მოკრიფეს 100 ტონამდე მანდარინის ნაყოფი ნაცვლად 40 ტონისა.

ახლა კოხორის ბაღებში ციტრუსოვანთა კრეფაა გაჩაღებული. უკვე მოკრეფილია 1.000 ტონა მანდარინი ნაცვლად 845 ტონისა. წელს მეურნეობა სამშობლოს მისცემს 1.200 ტონაზე მეტ მანდარინის ნაყოფს.

ლიმონის კრეფაც დაიწყო მეურნეობაში. შერჩევით უკვე მოკრეფილია თითქმის ნახევარი მილიონი ცალი ნაყოფი. სულ კი წელს მოიკრიფება ოთხ მილიონამდე ცალი ლიმონი, რაც გეგმას ორჯერ გადააჭარბებს.

მწიფდება, მზის სხივებით ივსება ფორთოხალი. კრეფა მალე დაიწყება. 600 ტონამდე ნაყოფის მიღებას ვარაუდობენ წელს კოხორელები ნაცვლად 495 ტონისა.

ბევრი საქმე აქვთ კოხორელ მებაღეებსა და მეურნეობის დირექტორს გოგი ჩაჩიბაიას. ამ გამოცდილი აგრონომის მეთვალყურეობით მიმდინარეობს მოსავლის აღება და მომავალი წლის მოსავლისათვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა. მოწინავე მეციტრუსეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან კლიმენტი თუნგია, ქსენია კვარაცხელია, თინა კოკაია, მარია და ვალია ეზუგბაიები, ევა შუშანოვა, ალექსანდრა შეტინა, ანასტასია პიგარკოვა.

კოხორელებმა აფხაზეთში პირველად გამოიყენეს ზამთრის პერიოდში ლიმონის ნარგავების გაზით გათბობა, ზაფხულში კი პლანტაციების ვერტმფრენებით შეწამლვა.

კოხორის ნარინჯოვანთა ველზე უხვი მოსავლისათვის ბრძოლა გრძელდება.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა გ. გელაძე მანდარინის კრეფის დროს.

ფოტო მ. ტარასოვისა.

შრომითი გამარჯვებათა პატაკები

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიულოცეს პერმის ოლქის მშრომელებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმის გადამეტებით შესრულება. ოლქის მხვნელ-მთესველებმა სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 13 მილიონ 781 ათასი ფუთი მარცვალი.

ვადამდე შეასრულეს მარცვლეულისა და კარტოფილის დამზადების სახელმწიფო გეგმა ნოვგოროდის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 1 მილიონ 458 ათასი ფუთი მარცვალი და 65 ათასი ტონა კარტოფილი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ეს წარმატება მიულოცეს ნოვგოროდის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და ყველა მშრომელს. (საქდესი).

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ტაშკენტის ოლქის მშრომელებს მიულოცეს სახელმწიფოსათვის ბამბის მიყიდვის გეგმის შესრულება. დამზადების პუნქტებში ჩაბარებულია 319 ათასი ტონა ბამბა, რაც 37 ათასი ტონით მეტია, ვიდრე დამზადებული იყო მთელი 1962 წლის განმავლობაში. ჩაბარებული ბამბის დაახლოებით 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. (საქდესი).

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიულოცეს საბჭოთა უზბეკეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და ყველა მშრომელს დიდი შრომითი გამარჯვება — ბამბის წარმოებისა და მიყიდვის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულება. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარეს 3 მილიონ 570 ათასი ტონა ბამბა — 564 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში მოკრეფილია მებამბეობის ისტორიაში ყველაზე დიდი რაოდენობის ბამბა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა მიიღო ა. ი. ხაჩატურიანი

გუშინ, 26 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა მიიღო ა. ი. ხაჩატურიანი. იგი გულთბილად მიესალმა გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს, რომლის შემოქმედება ძლიერ უყვართ საბჭოთა მსმენელებს და რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა საზღვარგარეთ.

გ. დ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არამ ხაჩატურიანის საავტორო კონცერტებს თბილისში, აღნიშნა, რომ თბილისის აუდიტორიამ გულთბილად მიიღო კომპოზიტორის შესანიშნავი მუსიკა. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „მუსიკალურ პარასკევებს", რომლებსაც საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი აწყობს სიმფონიური და კლასიკური მუსიკის პროპაგანდის მიზნით. რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის პროპაგანდისტულმა მუშაობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში.

საუბარი შეეხო ქართულ საშემსრულებლო სკოლას, რომლის წარმომადგენელნი — ზ. ანჯაფარიძე, ე. ვირსალაძე, მ. იაშვილი, მ. გოგლიძე-მდივანი, ლ. ისაკაძე კარგად არიან ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც. აღნიშნა აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა წარმატებები, რომელთა ბევრმა ნაწარმოებმა პოპულარობა მოიპოვა.

გ. დ. ჯავახიშვილმა ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა კომპოზიტორ არამ ილიას-ძე ხაჩატურიანს.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა არამ ხაჩატურიანმა დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის. (საქდესი).

ჩვენს დიდ სამშობლოში

ცისფერი მაგისტრალი გზას განაგრძობს

კიევი, 26 ნოემბერი. (საქდესის კორ.). დნეპრი ყირიმში მივიდა! ამ ცოტა ხნის წინათ ეს სასიხარულო ამბავი მთელს ჩვენს ქვეყანას მოედო. ჩრდილოეთ-ყირიმის არხის ფართო კალაპოტით მდინარის წყალი პერიკოპის მიწაყრილზე გადავიდა და ყირიმის ტრამალებში მივიდა. მაგრამ ჯერ ამ დიდი სამუშაოების მხოლოდ ნაწილია შესრულებული. წინ არის მრავალი კილომეტრი გზა ქერჩამდე.

რას აკეთებენ ახლა ჩრდილოეთ-ყირიმის არხის მშენებლები?

ახლა მშენებლობა ყირიმის ყელის დამყაყებულ მარილიან ტბებს შორის გაიშალა. ამ რაიონში არხის კალაპოტი ხელოვნურად უნდა აამაღლონ რამდენიმე მეტრით. ამ მიზნით აგებენ 11 კილომეტრი სიგრძის მიწაყრილს — ორ პარალელურ დამბას, რომელთა შორის წყალი გაივლის. წყლის ნაკადის სიგანე აქ 110 მეტრი იქნება.

ეს ძალიან რთული უბანია. მისი აშენებისათვის საჭირო იქნება 5 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოების შესრულება. ამ ცოტა ხნის წინათ ტრასაზე მუშაობა დაიწყო ახალმა მძლავრმა ათ-და თხუთმეტკუბიანმა სკრეპერებმა, გაუმჯობესებულმა ბულდოზერებმა, ავტოთვითმცლელების პარკი.

ხელოვნური მდინარის კალაპოტის გაჭრასთან ერთად ამ მანქანებს ფართოდ იყენებენ გამანაწილებელი არხების მშენებლობისათვის, სარწყავი ფართობების დაგეგმვისათვის.

ფოსფორიტის მძლავრი მაღარო

მოსკოვი, 26 ნოემბერი. (საქდესის კორ.). სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი კინგისეპის ფოსფორიტის საბადოს მეორე რიგის ამუშავებისათვის. ამ საბადოს სიმძლავრეა 840 ათასი ტონა ფოსფორიტის ფქვილი წელიწადში. დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ მშენებელ ორგანიზაციებსა და მემონტაჟეებს, რომლებიც დიდი ქიმიის ამ მნიშვნელოვან ობიექტს აგებენ, ვადაზე ადრე შეასრულონ თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი. საწარმოს მეორე რიგი მუშაობას დაიწყებს 1965 წლის პირველ ნახევარში. ძირითადი მოწყობილობის დამონტაჟება მომავალ წელს არის განზრახული.

ამ მნიშვნელოვან მშენებლობაზე გაიგზავნება ექსკავატორების, ბულდოზერების, დამტვირთავების, ამწეების, მილჩამწყობებისა და ტუმბოების დიდი პარტია.

საბჭოთა პარლამენტარები სამშობლოში გამოემგზავრნენ

ბელგრადი, 26 ნოემბერი. (საქდესი). დღეს აქედან სამშობლოში გამოემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის კ. ტ. მაზუროვის მეთაურობით.

ორი კვირის განმავლობაში საბჭოთა სტუმრებმა ინახულეს იუგოსლავიის მრავალი რესპუბლიკა, ეწვივნენ ბევრ საწარმოს, ესაუბრნენ იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწეებსა და უბრალო ადამიანებს.

საბჭოთა დელეგაცია ორჯერ შეხვდა იუგოსლავიის საკავშირო სკუპშტინის თავმჯდომარეს ე. კარდელს, ესაუბრა სკუპშტინის დეპუტატებს. საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაცია მიიღო იუგოსლავიის პრეზიდენტმა ი. ბროზ ტიტომ.

გიგანტური ბრძმედი ბჰილაის კომბინატისათვის

დნეპროპეტროვსკი, 26 ნოემბერი. (საქდესის კორ.). ბაბუშკინის სახელობის ქარხნის მელითონეები შეუდგნენ მეორე გიგანტური ბრძმედის ფოლადის გარსაცმის საკონტროლო აწყობას ბჰილაის მეტალურგიული კომბინატისათვის. 12 სართულიანი სახლის სიმაღლის ზემძლავრ თუჯსადნობ აგრეგატს აკეთებენ მთლიანშედუღებული კონსტრუქციებისაგან.

ახალ ბრძმედს, როგორც წინანდელს, აქვს 1.719 კუბიკური მეტრი სასარგებლო მოცულობა. იგი მოგვცემს წელიწადში დაახლოებით მილიონ ტონა თუჯს.

ქარხნის საამქროებში ვადამდე შესრულებულია ინდოელი მეტალურგების კიდევ ერთი შეკვეთა. დამთავრებულია მარტენის საამქროსა და უზარმაზარი შენობის კარკასის და ორი ფოლადსადნობი ღუმელის ძირითადი კონსტრუქციების დამზადება. ეს ღუმელები თვითეული 500 ტონა ტევადობისაა.

ტაჯიკეთის ფირუზი

ლენინგრადი, 26 ნოემბერი. (საქდესის კორ.). ჩრდილოეთ ტაჯიკეთის მთებში ფირუზის სამრეწველო საბადოები აღმოაჩინეს. ერთი მათგანი აღმოჩენილია უძველესი საბადოს რაიონში, საიდანაც ჯერ კიდევ XIV-XV საუკუნეებში ფირუზი აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში გაჰქონდათ.

სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ტაჯიკეთის ფირუზს — მოცისფრო ქვას, რომელსაც ნაზი ზურმუხტისფერი დაჰკრავს.

საიუველირო ფაბრიკებში დაიწყო ტაჯიკეთის ფირუზის სამკაულების საცდელი წარმოება.

დიდი სამძიმარი

ვაშინგტონი, 26 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფ. კენედის დაკრძალვის შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი სახელმწიფოთა, მთავრობათა და მთავრობის დელეგაციათა სხვა მეთაურებთან ერთად, რომლებიც კენედის დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ, ეწვია თეთრ სახლში პრეზიდენტის ქვრივს ქ-ნ ჟაკლინ კენედის.

სსრ კავშირის მთავრობის, მისი მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. პ. ხრუშჩოვას, აგრეთვე პირადად თავისი სახელით ა. ი. მიქოიანმა დიდი სამძიმარი განუცხადა ქ-ნ კენედის პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი იყო დარბაზობაზე, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა სახელმწიფოთა, მთავრობათა და მთავრობის დელეგაციათა მეთაურების პატივსაცემად, რომლებიც ვაშინგტონში ჩამოვიდნენ ჯონ ფ. კენედის დაკრძალვაზე.

წინასწარი განზრახვით

26 ნოემბრის უცხოეთის პრესის მიმოხილვა

საზღვარგარეთის გაზეთები მთელ გვერდებს უძღვნიან პრეზიდენტ ჯონ კენედის დაკრძალვას, დალასში მისი მხეცური მკვლელობის ფრიად საეჭვო გარემოებებს, განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემდგომ კურსს ახალი პრეზიდენტის ლინდონ ჯონსონის დროს.

ნიუ-იორკის ყველა გაზეთი დაწვრილებით აშუქებს, თუ რა გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიოს ქვეყნების დედაქალაქებში პრეზიდენტ კენედის ტრაგიკულმა დაღუპვამ. „ნიუ-იორკ ტაიმსი" თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს გაზეთ „იზვესტიის" სარედაქციო სტატიას, მიძღვნილს პრეზიდენტ კენედის გარდაცვალებისადმი.

გაზეთი ბეჭდავს აგრეთვე საკუთარ კორესპონდენტთა მთელ რიგ სტატიებს, რომლებიც კენედის სიკვდილის შესაძლო შედეგებს განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისათვის. გაზეთის ვაშინგტონელი კორესპონდენტი კრეზორტი თავის სტატიას იწყებს სიტყვებით: „პრეზიდენტმა ჯონსონმა აღუთქვა პრემიერ ხრუშჩოვს, რომ განზრახული აქვს განაგრძოს პრეზიდენტ კენედის მეცადინეობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის".

პარიზის „ლიბერასიონი" პირდაპირ აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ კენედის, ხოლო შემდეგ ოსვალდის მკვლელობა „წინასწარ მომზადებული საქმე" იყო. ლონდონის „დეილი მეილი" სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს: შეიძლება აღმოჩნდეს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ „პრეზიდენტი მოკლეს რასისტებმა, რომლებსაც სძულდათ იგი და ზანგებისათვის სამოქალაქო უფლებათა მინიჭების მისი პოლიტიკა". გაზეთს მიაჩნია, რომ „ოსვალდი იყო იარაღი, რომელიც გამოიყენეს და შემდეგ მოსპეს".

იაპონიის „იომიური" დალასში მომხდარი მეორე მკვლელობის შესახებ იუწყება სათაურით — „სიმართლე დაიკარგა". „ასახი" და ზოგიერთი სხვა გაზეთი აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღდგენილია ლინჩის სასამართლო.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ჩასვლას მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ნოვოტნის მეთაურობით.

პარიზის მთელი პრესა იუწყება, რომ დაიწყო ფრანგ რკინიგზელთა გაფიცვა. გაზეთები წერენ აგრეთვე, რომ მთელ საფრანგეთში გაიმართა მიტინგები და დემონსტრაციები ატომური დამკვრელი ძალის წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიის „დი ველტი" იუწყება, რომ მომავალი წლის დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოგზავნიან ორი ბატალიონიდან ერთ-ერთ ბატალიონს, რომელიც „პერშინგის" რაკეტებით არის აღჭურვილი. (საქდესი).

ერაყის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ლონდონი, 26 ნოემბერი. (საქდესი). ერაყის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა თაჰერ იაჰიამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ერაყი პატივს სცემს ყველა ვალდებულებას უცხოეთის იმ კომპანიათა მიმართ, რომლებიც ერაყში მოქმედებენ, კერძოდ, ნავთობის კომპანიათა მიმართ, ნათქვამია რეიტერის საგანგებო ბაღდადელი კორესპონდენტის ცნობაში.

ერაყის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ „ერაყს მეგობრული ურთიერთობა აქვს არაბთა ყველა განთავისუფლებულ ქვეყანასთან და, კერძოდ, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან, ალჟირთან და იემენთან". მან მხარი დაუჭირა „არაბთა ერის გაერთიანებას 1963 წლის 17 აპრილის მანიფესტის შესაბამისად". (დეკლარაცია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყისა და სირიის ფედერაციის შექმნის შესახებ. — რედ.). ეს დოკუმენტი, ხაზგასმით აღნიშნა თაჰერ იაჰიამ, პირველი ნაბიჯია ერთობის გზაზე".

პარტიული ცხოვრება

ყვარლის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კონფერენციაზე

სჯა-ბაასი გამოუყენებელ რეზერვებზე

კავკასიონის მწვერვალებმა თოვლის ნაბადი წამოიხურეს. ალაზნის ველზე კი კვლავ შემოდგომის სურნელი ტრიალებს. მინდვრებსა და ზვრებში შრომაა გაჩაღებული, ვაზს ძირს უფხვიერებენ... ფუსფუსია მეცხოველეობის ფერმებშიც.

სწორედ ამ მიმდინარე სამუშაოთა პერიოდში შეიკრიბნენ ყვარლის კულტურის სახლში პარტიული კონფერენციის დელეგატები. ისინი ერთმანეთს მოუთხრობდნენ იმაზე, თუ როგორ გაართვეს თავი ბუნების წლევანდელ ჭირვეულობას, როგორ უყრიან საფუძველს მომავალი წლის უხვ მოსავალს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ყვარლის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ზაუტაშვილმა.

მომხსენებელი და კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ ახლებურად მუშაობის პირველ შედეგებზე და აყენებდნენ მომავალი საქმიანობის პრაქტიკულ წინადადებებს. მთავარი მიზნისათვის — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაწეულ შრომაზე კონფერენციას მოახსენეს შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ლაშაჩიშვილმა, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ა. უსტიაშვილმა, შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" თავმჯდომარემ პ. ჯაშილაშვილმა, ბაისუბნის კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანმა ს. მუშლაძემ.

თუმცა წელს არახელსაყრელი ამინდები იყო, მაგრამ კოლმეურნეთა თავდადებულმა შრომამ მაინც თავისი გაიტანა. ყვარლელმა მემინდვრეებმა ათი ათას ტონაზე მეტი მარცვლეული შეიტანეს სახელმწიფოს ბეღელში. ამ საქმეში ერთმა და ორმა კოლმეურნეობამ როდი ისახელა თავი, მაგრამ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს მაინც ვერავინ აჯობა. მათ გათვალისწინებული 35 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 62 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღეს, სახელმწიფოს 780 ტონის ნაცვლად 1400 ტონა მარცვალი ჩააბარეს, თითქმის ერთიორად მეტი.

ყვარლის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა სიბეჯითე სხვა დარგებშიც იგრძნობა. წელს მათ ეთერზეთოვანი კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს. 4.594 ტონის ნაცვლად ეთერზეთების ქარხნებს გადასამუშავებლად 6.594 ტონა ჩააბარეს. ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ დავალება ოთხმაგად გაანაღდა. კონფერენციის დელეგატებმა მარჯვენა შეუქეს მეაბრეშუმეებსაც. მათ გეგმით გათვალისწინებული 267 ტონის ნაცვლად 288 ტონა აბრეშუმის პარკი ჩააბარეს სახელმწიფოს.

დელეგატები ამასთანავე აკრიტიკებენ იმ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, რომლებიც კვლავ ძველებურად, მოდუნებულად მუშაობენ, ნაკლებად ნერგავენ ახალს, პროგრესულს. მათ აღნიშნეს, რომ სამწუხაროდ, ერთნაირი პირობების მქონე კოლმეურნეობებს სხვადასხვა შედეგი აქვთ. მაგალითად, თამარიანის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 39 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, მის მეზობელ ვარდისუბნის კოლმეურნეობას კი თითქმის მთლიანად დაეღუპა სიმინდი. ჭაბუკიანისა და ლელიანის კოლმეურნეობებს მიწა-წყალი ერთნაირი აქვთ, მაგრამ შრომის ორგანიზაცია — სხვადასხვა. პირველმა ჰექტარზე საშუალოდ 32 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, მეორემ კი ათ ცენტნერს ძლივს მიაღწია.

დელეგატებმა მ. მარდალეიშვილმა, ე. დუქმასოვმა, ა. რეხვიაშვილმა და სხვებმა ყურადღება გაამახვილეს მარცვლეულის წარმოების გადიდების რეზერვებზე. მათ აღნიშნეს, რომ მართალია ხორბლის თესვის დავალება შესრულდა, მაგრამ საჭიროა მეტი დაითესოს, რომ ხორბლის ნათესი ფართობი აყვანილ იქნას 17 ათას ჰექტარამდე. აღინიშნა ასეთი ფაქტიც. შარშან გავაზის კოლმეურნეობამ 300 ჰექტარი ფართობი დაუთესავი დატოვა. ამ საქმეში სცოდავენ აგრეთვე ჭიკაანისა და შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები. ბალღოჯიანის, ულიანოვკისა და ჭიკაანის კოლმეურნეობებს დღემდე არ გაუტანიათ კუთვნილი მინერალური სასუქები.

კონფერენციაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა აგრეთვე ყურძნის მოსავლიანობის ზრდის საკითხებზე. წელს ყვარლელებმა სახელმწიფოს დიდძალი ყურძენი დააკლეს. დელეგატების ერთმა ნაწილმა ეს მთლიანად უამინდობას გადააბრალა, მაგრამ კონკრეტულმა მაგალითებმა, რომლებიც კონფერენციაზე დაასახელეს, ცხადყო ასეთი მსჯელობის უსაფუძვლობა. სოფელ გრემში კოლმეურნე ალექსანდრე პატიაშვილმა 2,5 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 106 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ეს მაშინ, როცა სხვა სოფლების კოლმეურნეობებში ამის მეხუთედიც ვერ მიიღეს. მიზეზი? ბევრგან ვაზს სათანადოდ არ მოუარეს და იგი სოკოვანმა ავადმყოფობამ დააზიანა.

საზოგადოებრივ მეცხოველეობას კოლმეურნეობათა ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. დელეგატებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს მეცხოველეობის დარგისადმი ზრუნვა გაუმჯობესდა. ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის მიყიდვის დავალება გადამეტებით შეასრულეს. მაგრამ ამ მხრივაც არის ნაკლოვანებანი. ფონის კოლმეურნეობაში ათ თვეში თვითეულ საფურაჯე ძროხაზე 341 ლიტრი რძე მიიღეს. აქ წელს 85 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მოკვდა. ბაისუბნის კოლმეურნეობაში ძროხების ბერწიანობა 40 პროცენტს აღემატება.

სამმართველოს კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის, ქურდობის, უქნარობის ფაქტებს. ამ საკითხებზე ილაპარაკა რაიონის პროკურორმა ა. ფიროსმანიშვილმა.

— კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდა პირველი რიგის საბრძოლო ამოცანაა, — ამბობენ დელეგატები და აღნიშნავენ იმ მუშაობას, რასაც საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კადრების ეკონომიურ სწავლებას, გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდა, ამაღლდა საგიტაციო მუშაობის დონე.

კონფერენციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების წარმატებით შესასრულებლად დასახა ღონისძიებანი და აირჩია საქართველოს კპ XXII ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ფ. დუღაშვილმა.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პარტიული ქრონიკა

ახალი პარტიული კომიტეტები

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. გუშინ გაიმართა საგარეჯოსა და გულრიფშის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახლად შექმნილი საწარმოო სამმართველოთა და ორჯონიკიძისა და ახმეტის რაიონული პარტიული ორგანიზაციების პირველი კონფერენციები.

ამ დღეებში გაიმართა აგრეთვე ახლადშექმნილი ცაგერის საწარმოო სამმართველოს პირველი პარტიული კონფერენცია.

ამ კონფერენციებმა მოისმინეს და განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი, დასახეს მომავალი მუშაობის პრაქტიკული ღონისძიებანი, აირჩიეს პარტიული კომიტეტები, სარევიზიო კომისიები, აგრეთვე საქართველოს კპ XXII ყრილობის, ხოლო გულრიფშის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კონფერენციაზე — აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

გაიმართა ახალი პარტიული კომიტეტების პირველი პლენუმები.

საგარეჯოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია ო. ხაბაშვილი, მდივნის მოადგილეებად — შ. გრიგოლაშვილი და ნ. ზვიადაძე.

ცაგერის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია კ. სილაგაძე, მდივნის მოადგილეებად — ლ. ჩიქოვანი და გ. სალინაძე.

გულრიფშის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია ა. ლვინჯილია, მდივნის მოადგილეებად — ო. გიუველიანი და გ. დავითაია.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნად არჩეულია ლ. ბერაძე, მდივნის მოადგილედ — შ. რობაქიძე.

პარტიის ახმეტის რაიკომის მდივნად არჩეულია ა. ბატიაშვილი, მდივნის მოადგილედ — ა. ქუნიაშვილი.

რადიომსმენელთა კონფერენცია

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გაიმართა რადიომსმენელთა პირველი რაიონული კონფერენცია.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს ადგილობრივი რადიოგადაცემების მუშაკთა ამოცანებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

აგიტატორთა დახელოვნებისათვის

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამას წინათ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა მოიწვია აგიტატორთა პირველი მეთოდური კონფერენცია. აქ მოისმინეს მოხსენებები: „აგიტატორი კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლია", „აგიტატორის პირადი მაგალითი", „მოწინავე გამოცდილება — მასებს", „კედლის გაზეთი და საველე ფურცელი", „აგიტატორი შეჯიბრების სათავეში".

მეთოდურ კონფერენციას ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, აგიტპუნქტების გამგეები, მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების რედაქტორები.

რაიონული საბჭოების სესიებზე

გუშინ გაიმართა მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს, გულრიფშის, ორჯონიკიძის, ახმეტის რაიონული საბჭოების სესიები, რომლებმაც განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ა. დავითაშვილი,

გულრიფშის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია გ. ფილია.

ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ქ. დევდარიანი.

ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ბაკურიძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

ქიმია და ტექნიკა

მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ სასუქების შემტანი მანქანები

უკანასკნელად დიდი მუშაობა გაწეულა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. პარტია და საბჭოთა მთავრობა ამ მხრივ სულ უფრო მეტ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელიც ქიმიური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საკითხს განიხილავს.

დღეს საკითხი ასე დგას: მარტო ნათესი ფართობების გადიდებით ვერ მივაღწევთ მარცვლეულის წარმოების მატებას, ახლა მთავარია თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობის გადიდება. მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი საშუალება ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებაა. ახლა უსასუქოდ ძნელია მოსავლიანობის გადიდება.

წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაცილებით მეტ მინერალურ სასუქებს, ჰერბიციდებს, შხამქიმიკატებსა და სხვა საჭირო ქიმიურ პროდუქტებს მიიღებენ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სოფლის მეურნეობის მექანიზატორებმა აქედანვე სწორად შეარჩიონ შესაფერისი სასუქის შემტანი ტექნიკა, მანქანების სწორი რეგულირება, დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის. მხვნელ-მთესველებმა რაც შეიძლება რენტაბელურად და დანიშნულებისამებრ უნდა გამოიყენონ მინერალური სასუქები და სხვა საჭირო ქიმიური პროდუქტები.

მინერალური სასუქების რენტაბელურად გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მისი შეტანა ნიადაგში თესვის წინ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სასუქების შესატანად მანქანებისათვის წინასწარ მომზადების საქმეს, რის შედეგადაც სასუქის შესატანი მანქანების მუშაობის ხარისხი ზოგიერთ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია (მანქანების სამუშაო ნაწილები იჭედებიან). მანქანებით შესატანი მინერალური სასუქი აუცილებლად წინასწარ უნდა გატარდეს 7 მილიმეტრი დიამეტრის მქონე სპეციალურ საცრებში. ამასთანავე სასუქი უნდა ინახებოდეს ფარდულებში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასუქი ატმოსფერული ნალექით იჟღენთება და მანქანას უძნელდება მისი შეტანა ნიადაგში.

როგორც ცნობილია, სასუქი შეაქვთ ნიადაგის მზრალად ხვნისა და თესვის წინ და მცენარის ვეგეტაციის პერიოდში. ამ ოპერაციების ჩატარებისათვის რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების საშუალებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებისათვის შეზიდული აქვს უახლოესი კონსტრუქციის მანქანები. მარცვლეული კულტურებისათვის განკუთვნილ მიწის ფართობში მზრალად ხვნისა და თესვის წინ მინერალური სასუქის შესატანად გამოყენებულ უნდა იქნას „სტ-2,8" სათესი. იმ მიზნით, რომ მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ ეს მანქანები, საჭიროა ერთდროულად სამი მანქანით თესვა. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ გადასაბმელი მოწყობილობა — „სნ-35ა" და „ს-11". აგრეგატი მიებმება ძირითადად ბელარუსის მარკის ტრაქტორებს. იმ შემთხვევაში, თუ ტრაქტორს საკიდი სისტემა აქვს, უნდა შევარჩიოთ გადასაბმელი „სნ-35ა", ხოლო მისაბმელიანი ტრაქტორისათვის — „ს-11".

სამი სათესით ერთდროულად სასუქის შეტანა საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება დღეში 20 ჰექტარიდან 60 ჰექტარამდე.

პატარა ნაკვეთებში შეიძლება აგრეთვე მზრალად ხვნისა და თესვის წინ გამოვიყენოთ შედარებით დაბალი წარმადობის მქონე მინერალური სასუქის გამომთესი მანქანა „სტშ-2,8", რომელიც აგრეგატდება თვითმავალ „ტ-16" შასიზე. ამ მანქანის საშუალო დღიური წარმადობა 15-20 ჰექტარია. ჩამოთვლილი სათესები შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე თავთავიანი კულტურების ნათესების სასუქებით გამოკვების დროს.

თავთავიანი კულტურების თესვასთან ერთდროულად მინერალური სასუქის შესატანად უნდა გამოვიყენოთ საკიდი „სკნ-24" და მისაბმელი „სუკ-24" მარკის სათესები. „სკნ-24" მარკის საკიდი აგრეგატდება „დტ-54ა", „დტ-75", ან „ტ-74" მარკის ტრაქტორებზე. სათესი აგრეგატის წარმადობა ერთ ცვლაში 25-30 ჰექტარია. მისაბმელი სათესის „სუკ-24" აგრეგატში ერთ ცალად მუშაობის შემთხვევაში უნდა მივუბათ შედარებით დაბალი სიმძლავრის ტრაქტორებს (მიზანშეწონილია „ტ-38" და ბელარუსის ტიპის ტრაქტორების გამოყენება). იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთი იძლევა აგრეგატში ერთდროულად სამი „სუკ-24" სათესის გამოყენების შესაძლებლობას, უნდა შევარჩიოთ გადასაბმელი მოწყობილობა „ს-11უ".

თავთავიანი კულტურების ნათესებში ორგანული სასუქის ზედაპირული მოფანტვისათვის [illegible] „ტ-24", [illegible] ტრაქტორებზე.

წუნწუხის შესატანად უნდა გამოვიყენოთ მანქანა „რჟ-1,7ა", ხოლო თავთავიან კულტურებში სარეველების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჰერბიციდ ამონიუმის შემტანი მანქანა „გან-8".

„საქსოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების მექანიზატორების ვალია აქედანვე შეუდგნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურებისათვის განკუთვნილი მინერალური სასუქების შემტანი მანქანების სწორად, ტექნიკურად გამართვის საქმის ორგანიზაციას იმ ვარაუდით, რომ ყველა სასუქის შემტანი მანქანები საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურად გამართული იყოს. ამასთანავე „საქსოფლტექნიკის" სისტემის მექანიზატორების უპირველესი ვალია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასუქის შემტანი მანქანების გამოთესვის სწორ ნორმაზე დაყენებას, რაც იმის გარანტიას ქმნის, რომ სასუქები აგროწესების ზუსტად დაცვით შევიტანოთ ნათესებში.

ახლა სოფლად ჩვენ მაღალკვალიფიციური კადრები გვყავს. მექანიზატორები შესანიშნავად ფლობენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მაგრამ თქმა იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ყველგან მაღალნაყოფიერად იყენებენ, შეცდომა იქნებოდა. ჯერ კიდევ გვხვდება სოფლები, სადაც მანქანებს დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ. ასევე ითქმის სასუქების შემტან მანქანებზეც. იმისათვის, რომ მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ მანქანები და პირველ რიგში კი სასუქების შემტანი მანქანები, საჭიროა სოფლად მოვაწყოთ მექანიზატორთა გადასამზადებელი სემინარები, სადაც ახალი ტექნიკის ასათვისებლად ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მოწინავეთა გამოცდილება. ეს გადაუდებელი საქმეა და მას გულისყურით უნდა მოეკიდონ ხელმძღვანელი ამხანაგები.

აქ ჩამოთვლილი სხვადასხვა სასუქის შესატანი მანქანები „საქსოფლტექნიკის" ბაზებში საკმაო რაოდენობით არის და საჭიროა მისი დროულად შეძენა და მიმდინარე და საგაზაფხულო სამუშაოებში გამოყენება. ამით ხელს შევუწყობთ მარცვლეულის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეს.

გ. ბარაბაძე,
გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისა და გამოყენების სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

წყალში გადაყრილი სიუხვის რეზერვები

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხრივ მინერალური და ორგანული სასუქების დანაშაულებრივ შეუფასებლობას ამხილებდა გაზეთ „კომუნისტის" 16 ნოემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული მასობრივი რეიდის მასალები.

„კომუნისტს" ამ გამოსვლასთან დაკავშირებით გვაცნობებთ, რომ გაზეთის კრიტიკა სავსებით სწორია. წერილი სპეციალურად იქნა განხილული საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის 21 ნოემბრის ბიუროს სხდომაზე.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობისაგან გადაჭრით მოითხოვა დაუყოვნებლივ გამოასწორონ ნაკლოვანებანი სასუქების გამოყენებაში, მოკლე დროში მოამთავრონ მეურნეობებისათვის გამოყოფილი მინერალური სასუქების გაზიდვა ცხინვალიდან და აგროწესების მიხედვით მათი შეტანა ნიადაგში.

ბიურომ ზნაურისა და ლენინგორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების უფროსების (გ. ტოხიევი და ს. დარსაველიძე), პარტიული კომიტეტის მდივნების (გ. თადტაევი და გ. ჯუსოევი) ყურადღება მიაქცია იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომ ამ სამმართველოების მეურნეობები ასე იოლად ყრიან წყალში სიუხვის რეზერვებს. ბიურომ პარტიული სასჯელი დაადო ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი გულგრილად განწყობილ მეურნეობათა მესვეურებს. ზნაურის საწარმოო სამმართველოს სოფელ ყორნისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ე. ჯიოევს გამოეცხადა საყვედური, მკაცრად იქნენ გაფრთხილებული ამავე სამმართველოს სოფლების ქვათეთრისა და თერეგვანის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები გ. გაგლოევი და ა. გაგიევი, აგრეთვე ზნაურის საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი ზ. კობერიძე.

ლენინგორის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს დაევალა თავის ბიუროს სხდომაზე განიხილოს სოფლების წინაგარისა და ორჭოსხის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მ. ხუბულოვისა და ნ. დრიაევის საკითხი, რომლებმაც ყურად არ იღეს არა ერთი მითითება და გაფრთხილება სასუქების გამოუყენებლობისათვის.

ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა პრაქტიკული მუშაობა სასუქების გატანა-გამოყენების მოსაწესრიგებლად.

ვ. გელაშვილი,
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ქვები ბრალს დებენ...

ჩვენს ხელთ არის „კომუნისტის" ორი ნომერი. ერთი მათგანი 1959 წლის 9 აპრილით არის დათარიღებული, მეორე კი ოცი დღით გვიანაა გამოსული. სიძველისაგან გაყვითლებულ - გაცრეცილი ეს გაზეთები სიხარულით მოგვირბენინა სოფელ მეტეხის ტაძრის მცველის ბარბარე ზუბიაშვილის მეუღლემ.

— შეგატყვეთ ამ ისტორიული ძეგლის მოუვლელობამ თქვენც აღაშფოთათ, — მოგვმართა მან ტაძრის ეზოში შესულებს, — წაიკითხეთ ეს გაზეთები და მიხვდებით, ვინც არის დამნაშავე.

ვკითხულობთ 9 აპრილით დათარიღებულ გაზეთში მოთავსებულ წერილს „როგორ ნადგურდება კულტურის ძეგლი", სადაც ავტორი ნ. ჭიომელი გამოთქვამს სინანულს იმის გამო, რომ უყურადღებობამ ეს მე-16 საუკუნის ნაგებობა განადგურებამდე მიიყვანა.

მეორე — 29 მაისის ნომერში „კომუნისტის" რედაქცია აუწყებდა მკითხველს: „ამ წერილთან დაკავშირებით კასპის რაისაბჭოს აღმასკომიდან გვატყობინებენ, რომ მიღებულია ზომები მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის დასაცავად. მეტეხის კოლმეურნეობას აეკრძალა ტაძრის გამოყენება სამეურნეო დანიშნულებისათვის და დაევალა შეაკეთოს ტაძრის ეზოს დაზიანებული ღობე".

— მას შემდეგ მეხუთე წელი გადის, — ამბობს მოხუცი, — ტაძარი და მისი ეზო კი დაცვის ნაცვლად უარეს დღეში ჩავარდა. რატომ მოატყუეს რედაქცია?

— „ეზო სავსეა სხვადასხვა ნაგვით, მწყობრიდან გამოსული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, ცარიელი კასრებით", — წერია 1959 წლის 9 აპრილის კრიტიკულ წერილში. „ზომები მივიღეთო", — ატყობინებს რაიაღმასკომი რედაქციას ოცი დღის შემდეგ. ამჟამად კი ეზოში ნახავთ სიმინდის ტაროებისა და კომბოსტოს უწესრიგოდ ზვინებს, ღორებისაგან გაბინძურებულ ტალახით გარშემორტყმულს.

„ტაძრის შიგნით კოლმეურნეობას საწყობი აქვს მოთავსებული", — ვკითხულობთ წერილში.

ვიჭვრიტებით ტაძრის გამოკეტილი კარის ხვრელში: არაფერი შეცვლილა, ტაძარი ახლაც საწყობის როლს ასრულებს.

„გამოინგრა ტაძრის კედლების კუთხეები... გუმბათიდან ნათალი ქვები იქვე ყრია", — წერდა განაწყენებული ავტორი. მაგრამ ეს იყო ხუთი წლის წინათ. ამჟამად კი ამას ისიც ემატება, რომ კედლის ჩამონახსლეტ ქვებსა და გალავნის თლილ ლოდებს ზოგჯერ სხვა დანიშნულებისათვის იყენებენ, თვით ტაძრის დასავლეთ კედელმა კი ათი სანტიმეტრით დაიწია. გუმბათი შუაზე გასკდარა და მისი აღმოსავლეთი მხარე სადაც არის ჩამოინგრევა.

— მერე და რას ფიქრობენ საბჭოს თავმჯდომარე ტ. კვალიაშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გუგულაშვილი? — ვკითხეთ მოხუცს.

— როცა გაზეთში ეს წერილები დაიბეჭდა, — გვიპასუხა მან, — მაშინ სოფლის კოლმეურნეობას ძველი თავმჯდომარე გ. პეტრიაშვილი უძღვებოდა, რაიაღმასკომში სხვა ამხანაგები მუშაობდნენ.

— მერე ეს საქმეს შველის? — შეუტია მოხუცს იქვე მდგომმა კოლმეურნემ, — წინანდელი ხელმძღვანელების შეცდომა კი არ უნდა განაგრძო, უნდა გამოასწორო!

ამ დროს ტაძრის სახურავზე საშინელი გრუხუნი გაისმა.

— ფრთხილად, არ დაზიანდეთ! — მოგვესმა კოლმეურნეთა ხმა.

სასწრაფოდ მოვშორდით კედელს, რომლის ძირშიც კაცის თავის სიმსხო ჩამონატეხი დგაფუნით დაეცა ტალახში.

— კიდევ ატირდა ღვთისმშობელი! — ირონიულად თქვა მოხუცმა. გაკვირვებით შევხედეთ.

— ყოველდღე სცვივა ტაძარს ასეთი ნასხლეტები, ცვივა და ბოლოს ალბათ შეწყვეტს არსებობას! — სინანულით აგვიხსნა მოხუცმა.

წამოსვლისას კიდევ ერთხელ ვკითხულობთ წარწერას ტაძრის კედელზე გაკრულ ჟანგისაგან გაყავისფრებულ თუნუქის ფირფიტაზე: „ღვთისმშობლის ტაძარი. 1583 წლის არქიტექტურული ძეგლი, დაცულია სახელმწიფოს მიერ. ძეგლის დამზიანებელნი დაისჯებიან კანონით..."

ოღონდაც, რომ უნდა დაისაჯონ, მაგრამ ჩვეულებრივ დამნაშავეთა გვერდით ჩვენ დავაყენებდით იმ მუშაკებსაც, რომლებიც რედაქციის საქმიან, კრიტიკულ შენიშვნაზე მთელი რიხით უპასუხებენ, მისი მისამართით ყალბი საქმიანი პათოსით გამსჭვალულ პასუხს გზავნიან, ვალდებულების შესრულება კი ამ პასუხის საფოსტო ყუთში ჩაგდებისთანავე ავიწყდებათ. იმ ამხანაგებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ასეთ პასუხებში ნაკისრი ვალდებულება მარტო რედაქციის წინაშე როდი ხდის მათ პასუხისმგებელს, ისინი ამით გაზეთის ყველა მკითხველის წინაშეც დებენ პირობას.

ავთანდილ ციბაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანი.

კონსტანტინე რევია,
დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი.

გივი დვალი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჭეშმარიტი ხელოვანი

არამ ხაჩატურიანის საავტორო კონცერტების გამო

გულითადობით და სიყვარულით შეხვდა თბილისი გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს, ნიჭიერ დირიჟორსა და ახალგაზრდობის უანგარო აღმზრდელს — არამ ხაჩატურიანს. მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებული უკანასკნელი საკონცერტო ტურნე ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და უკრაინაში საბჭოთა მუსიკის დიდი გამარჯვების ჭეშმარიტი ფაქტია.

თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში 23 და 25 ნოემბერი განსაკუთრებით აღინიშნა. ამ დღეებში ოპერისა და ბალეტის თეატრში კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის შემოქმედების 2 კონცერტი გაიმართა ავტორის დირიჟორობით. პროგრამაში შეტანილი იყო კომპოზიტორის ძირითადი ნაწარმოებები — „მეორე სიმფონია" (ზარებით), „სავიოლინო კონცერტი", ცალკეული სიმფონიური სურათები ბალეტებიდან („გაიანე" და „სპარტაკი"), აგრეთვე პიესა „მასკარადის" მუსიკიდან და უკანასკნელ დროს შექმნილი სხვა ნაწარმოებები.

საგმირო თემას შეეხებოდა სამამულო ომის პერიოდში შექმნილი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომელთაგან უწინარეს ყოვლისა გამოირჩევიან ს. პროკოფიევის „ომი და მშვიდობა", დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე (ლენინგრადული) სიმფონია და ა. ხაჩატურიანის ეპიკური „მეორე სიმფონია".

იუბილარის ეს ნაწარმოები გამსჭვალულია დიდი დრამატიზმით, გაჟღენთილია სამამულო ომის სულით. ორკესტრში ზარების შეტანა, რაც კომპოზიტორმა გააკეთა, განგაშის სრულ წარმოდგენას იძლევა. იგივე ზარები ნაწარმოების ფინალში დიდი ზეიმის დაწყებას გვამცნობენ.

„მეორე სიმფონიაში" კომპოზიტორმა დიდი ტრაგიზმით დაგვიხატა საბჭოთა ხალხის თავზე დამტყდარი სასტიკი ომის საშინელება, ამასთან ღრმა ოპტიმიზმით არის გადმოცემული ჩვენი მომავალი, ხალხის სამართლიანობის აუცილებელი გამარჯვების რწმენა.

ამ ნაწარმოებით სომხურ სიმფონიზმში ა. ხაჩატურიანმა დაამკვიდრა ტრაგიკული და გმირული სახეები, დიდი ასპარეზი მისცა ეროვნული მუსიკის თავისუფალ განვითარებას, გააფართოვა იგი და ზოგადსაკაცობრიოდ აქცია მდიდარი გამომსახველობითი საშუალებებით.

ეროვნული, სომხური მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ ბურჯად გვევლინება ა. ხაჩატურიანი. მის შემოქმედებაში გვიპყრობს ღრმა ეროვნულობა, დიდი გატაცება ხალხური შემოქმედებით, ხალხის რეალური განცდებისა და გემოვნების ცოდნა, პატივისცემა და სიყვარული. კომპოზიტორმა შესანიშნავად იცის სომეხი ხალხის, და არა მარტო სომეხი ხალხის, მიწის სინოყივრითა და ბუნების სურნელებით შემკობილი და ავსილი ხალხური მუსიკალური შემოქმედება;

„სავიოლინო კონცერტი" ორკესტრის თანხლებით ა. ხაჩატურიანის მნიშვნელოვანი და საყვარელი ნაწარმოებია, რომელმაც ამ ოციოდე წელიწადში შემოიარა მთელი მსოფლიო და რომელსაც სიამოვნებით ასრულებენ საუკეთესო მუსიკოსები. კონცერტი ამ ნაწარმოების პირველ დამკვრელს, გამოჩენილ მევიოლინეს დ. ოისტრახს უძღვნა ავტორმა. ამჟამად თბილისში ჩვენ ვიხილეთ ამ ნაწარმოების მეორე გამოჩენილი შემსრულებელი ვ. პიკაიზენი, რომელმაც უდიდესი ოსტატობით დაუკრა თავისი პარტია.

ლირიკულ-მელოდიური ნაწარმოებია „სავიოლინო კონცერტი". მასში ნათლად ჩამოყალიბებულია „ხელშესახები" თემები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა მეორე ლირიკული ნაწილი „ხაჩატურიანისეული" ტკბილი კანტილენით და მუსიკალური მასალის ფაქიზი დახვეწით. ამ ნაწილში არის ეპიზოდი, როცა საკრავ-სოლისტს ეჯიბრებიან სხვა საკრავები, თითქოს სტაცებენ მთავარ თემას (2 კლარნეტის ერთობლივი ფრაზა, ორჯერ გამეორებული), მაგრამ ვიოლინო რჩება გამარჯვებული. კომპოზიტორის სამშობლოს მაღალი მთების, ყვავილოვანი ველების სურნელებით და მწყემსების სალამურებით გაჟღენთილია ამ ნაწილის და მთელი კონცერტის მუსიკა, მისი ცხოველმყოფელი საკრავიერი ნაწილი და, ბრწყინვალე შემსრულებლის ხელში — ვიოლინოს წამყვანი პარტია.

სომხეთის ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადაზე წარმოდგენილი ბალეტი „ბედნიერება" შემდეგში საფუძვლად დაედო ა. ხაჩატურიანის „გაიანეს", რომელიც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა სომხური მუსიკალური კულტურის განვითარებაში. მისი მუსიკიდან გაკეთდა რამდენიმე საორკესტრო სიუიტა, რომლებიც დიდი წარმატებით სრულდება ყველა საორკესტრო ესტრადაზე.

საბჭოთა მუსიკალური კულტურის საეტაპო ნაწარმოებად იქცა ა. ხაჩატურიანის ბალეტი „სპარტაკი".

„მე ყოველთვის ვუკავშირებდი სპარტაკის ცხოვრებას ჩვენს სინამდვილეს, ჩვენს ბრძოლას ტირანიის წინააღმდეგ, ბრძოლას დაჩაგრული ერების განთავისუფლებისათვის იმპერიალისტ-აგრესორებისაგან", — გვეუბნება ავტორი.

„სპარტაკი" მონუმენტური ეპიკურ-გმირული ნაწარმოებია. ამ მხრივ მას წარსულში ბადალი არა ჰყავს. კომპოზიტორმა ოსტატურად გამოიყენა მთავარი გმირების — სპარტაკის, ფრიგიას, ეგინას და სპარტაკის მხედრიონის მუსიკალური თემები, განავითარა მათი ლაიტმოტივები, განაზოგადა და მაღალ სიმფონიურ ბრწყინვალებამდე აიყვანა, ბალეტის მუსიკა სიმფონიური და მრავალფეროვანია.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ კონცერტებზე ზოგიერთი ნაწარმოები „გაიანედან" და „სპარტაკიდან" კონფერანსიეს მიერ გამოუცხადებლად შესრულდა. მიუხედავად ამისა, მსმენელმა პირველი ტაქტებიდანვე იცნო ისინი და თავისი აღფრთოვანება დამთავრებამდე მქუხარე ტაშით გამოხატა. ესენი იყო „ცეკვა ხმლებით" და ვალსი „მასკარადიდან", რომლებიც მართლაც მეტად პოპულარულ ნაწარმოებებად გადაიქცნენ. მათ გაიგონებთ ყველა კონტინენტზე და ყველა კუთხეში. ვფიქრობ, რომ ამაზე უკეთესი ჯილდო არ შეიძლება დაიმსახუროს კომპოზიტორმა.

ა. ხაჩატურიანი სომხური მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან შექმნა პირველი სომხური ბალეტი, პირველი სომხური სიმფონია, პირველი სომხური კონცერტები ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის. კომპოზიტორმა დიდად გაამდიდრა თავისი შემოქმედება სხვა ხალხთა მუსიკალური კულტურის შესწავლით.

სახელოვანი იუბილარი ამ კონცერტებში მოგვევლინა აგრეთვე როგორც ნიჭიერი, გამოცდილი დირიჟორი. რამდენიმე წლის წინათ იგი თბილისში ვნახეთ სადირიჟორო პულტთან. მას შემდეგ უფრო დახელოვნებულა. ეს გასაკვირველი არ არის, რადგან მან საავტორო კონცერტებით მოიარა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდი ქალაქი და საზღვარგარეთის 28 ქვეყანა.

კომპოზიტორმა თავისი ჭაბუკობა საქართველოში, კერძოდ თბილისში გაატარა. იგი თბილისშივე ეზიარა პირველ მუსიკას მეფანდურეების, მედუდუკეების და ხალხური მომღერლების სახით. პირველი დიდი კომპოზიტორის ქმნილება, რომელიც მან მოისმინა, „აბესალომ და ეთერი" იყო. მას თანაბრად უყვარდა მუსიკის ორი დიდი კორიფე — ა. სპენდიაროვი და ზ. ფალიაშვილი და ეს სიყვარული დღემდე შერჩა. იგი ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით იგონებს საქართველოს, ქართულ მუსიკას და დიდი მეგობრობა აქვს ჩვენთან, ქართული მუსიკის მოღვაწეებთან.

60 წელი შეუსრულდა არამ ხაჩატურიანს. იგი კვლავ ახალგაზრდაა სულით, შეხედულებით, შეგნებით, საქმიანობით და შემოქმედებით. მას კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების გასამდიდრებლად და ასაყვავებლად.

შალვა მშველიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი.

* * *



სურათზე: უკრავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორია არამ ხაჩატურიანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დღესასწაული „შოთაობა"

თელავი, 25 ნოემბერი. (საქინფორმი). მრავალი ხალხი შეიკრიბა კვირას, 24 ნოემბერს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში. დილიდანვე სოფლის კლუბის ეზოში შეიკრიბნენ იყალთოსა და სხვა ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები, ჩამოვიდნენ სტუმრები თელავიდან და თბილისიდან.

აქ სოფელ იყალთოს კულტურის უნივერსიტეტის, შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ინიციატივით გაიმართა სახალხო დღესასწაული „შოთაობა". კულტურის უნივერსიტეტმა გადაწყვიტა ეს დღესასწაულები მოეწყოს ყოველი წლის 15 ნოემბერს მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ. ამ დღესასწაულს ერქმევა დიდი შ. რუსთაველის სახელი, რომელიც, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს სწამთ, სწავლობდა იყალთოს აკადემიაში. ეს აკადემია დააარსა ქართველმა ფილოსოფოსმა და მეცნიერმა არსენ იყალთოელმა XI და XII საუკუნეების მიჯნაზე.

დღის 12 საათია. სოფლის კლუბის ეზოში, შ. რუსთაველის ძეგლის ახლოს, რომელსაც თეთრი საფარი ფარავს, გაიხსნა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგი გახსნა სოფელ იყალთოს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. არსენიშვილმა. მიტინგზე გამოსულებმა — სოფელ იყალთოს კულტურის უნივერსიტეტის რექტორმა, იყალთოს ღვინის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგმა გ. შათირიშვილმა, პროფესორმა შ. მესხიამ, სახალხო მთქმელმა ს. ჩანგაშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ცაიშვილმა, სოფლის ბიბლიოთეკის გამგემ ნ. ბერძენიშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს იმ კარგ ტრადიციებზე, რომელთა აღდგენისა და დამკვიდრებისათვის ბევრს აკეთებს საზოგადოებრივ საწყისებზე აქ შექმნილი კულტურის სახალხო უნივერსიტეტი.

უფლება შ. რუსთაველის ძეგლს მოხსნან საფარი ენიჭებათ პროფესორ შ. მესხიას, სოფელ იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის საპატიო წევრს, სახალხო მთქმელს ვ. ბრელაშვილსა და საშუალო სკოლის მოსწავლეს ე. წიკლაურს. საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგების ქვეშ ნელნელა ეშვება თეთრი საფარი. შეკრებილთა წინაშე დგას ბრინჯაოში ჩამოსხმული ახალგაზრდა რუსთაველი. ოდნავ დახრილი, მას ხელში უჭირავს გრაგნილი. ასე ესახება მოქანდაკე მ. ბერძენიშვილს შოთა რუსთაველი — აკადემიის სტუდენტი.

მიტინგი და საზეიმო ნაწილი დამთავრდა. დღესასწაულის მონაწილეები მიემართებიან იყალთოს აკადემიის ნანგრევებისაკენ, სადაც გაიმართა ზეპირი ჟურნალი „რუსთაველის ნაკვალევზე". გაიმართა მასობრივი თამაშობანი. ცეკვები. სპორტის ოსტატმა ჭადრაკში ბ. გურგენიძემ მოაწყო ერთდროული თამაშის სეანსი.

საერთაშორისო
დეკემბერი, ცხრაკავი-ბილოლავ
ცხოვრება

სახელოვანი იუბილე

ლონდონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გამოვიდა ინგლისის მშრომელთა მებრძოლი ორგანოს — გაზეთ „დეილი უორკერის“ მეათეათასე ნომერი. გაზეთში დაბეჭდილია სტატიები და ფოტოსურათები, რომლებიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება, ბევრი თვალსაჩინო მოღვაწის მილოცვის წერილი და მისალმება.

„თავის არსებობას „დეილი უორკერი“ უწინარეს ყოვლისა უნდა უმადლოდეს კომუნისტური პარტიის ბევრი წევრისა და მისი მომხრეების დაუღალავ და თავდადებულ მუშაობას, — განაცხადა მთავარმა რედაქტორმა დ. მეტიუზმა. — ჩვენი გაზეთი — პრესის ერთადერთი ორგანოა, რომელიც ინგლისის პრესაში გაბატონებულ კაპიტალისტურ მონოპოლიებზე არ არის დამოკიდებული. მუშებს სჯერად ჩვენი გაზეთისა, რომელიც მუდამ მათთან ერთად იბრძვის“.

ჯონ კენედის დაკრძალვა

ვაშინგტონი, 25 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტები **ვ. ვაშედჩენკო** და **გ. დერევენსკოი** იუწყებიან: დღეს შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფიტცჯერალდ კენედის დაკრძალვის დღეა. ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა 25 ნოემბერი გამოაცხადა ეროვნული გლოვის დღედ. დახურულია ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულება, ბანკები, სკოლები, მაღაზიები. ეკლესიებში ყველგან წირვას უხდიან განსვენებულ პრეზიდენტს.

მთელი ამერიკელი ხალხი დიდად განიცდის ჯონ კენედის ტრაგიკულ დაღუპვას. ამერიკელი ხალხის ღრმა მწუხარებას იზიარებენ მთელი მსოფლიოს ხალხები.

პრეზიდენტთან გამოსათხოვებლად შესვლა, რომლის ცხედარი დასვენებული იყო კაპიტოლიუმის როტონდაში, მთელ ღამეს გრძელდებოდა. ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა ხალხის ნაკადი. მთელი ამერიკა მოვიდა პრეზიდენტ კენედისთან გამოსათხოვებლად. უკანასკნელი ვალის მოსახდელად. ვაშინგტონში ჩამოვიდნენ ამერიკელები ქვეყნის ყველა ნაწილიდან, ყველა შტატიდან.

დილის 8 საათსა და 30 წუთისთვის, ვაშინგტონის დროით, როცა გამოსათხოვებლად შესვლა შეწყდა, პრეზიდენტის ცხედართან ჩაიარა 240 ათასმა ამერიკელმა, და მრავალმა ათეულმა ათასმა ვერ მოასწრო შესვლა.

უკანასკნელი ვალის მოსახდელად მოვიდნენ ხამიშესულნი და ახალგაზრდები, ბავშვები, მოხუცები და ინვალიდები, სამხედრო მოსამსახურენი, სტუდენტები. მიუხედავად იმისა, რომ ცივი ღამე იყო, მათ 10 საათი გაატარეს კაპიტოლიუმთან. ადამიანთა მწკრივები კაპიტოლიუმთან 16 უბანზე გაგრძელდა.

ამერიკელებთან ერთად განსვენებულ პრეზიდენტთან ჯონ ფიტცჯერალდ კენედისთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ სხვა ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენელნი. 53 ქვეყანამ გამოგზავნა დელეგაციები ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებული პრეზიდენტის დაკრძალვაზე.

საბჭოთა კავშირიდან დაკრძალვაზე ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

დილის 10 საათსა და 30 წუთზე კაპიტოლიუმში მივიდნენ განსვენებული პრეზიდენტის ქვრივი ჟაკლინ კენედი, აგრეთვე პრეზიდენტის ძმები — ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი და სენატორი ედვარდ კენედი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა სახლობის წევრების წარმომადგენლებმა ჯ. კენედის ცხედარი გადმოიღეს როტონდაში დადგმული პოსტამენტიდან და რელიგიური ჰიმნის პანაგებში გამოასვენეს კაპიტოლიუმიდან. კუბი დადგეს ექვსცხენიანი ქვემეხის ლაფეტზე და გადაფარეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალმა. კუბოსთან დადგა საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, რომელსაც ხელში ეჭირა პრეზიდენტის შტახლარტი, მის შემდეგ ოფიცერი, რომელსაც ხელში ეკავა უმხედრო ცხენის ლაგამი, რაც იმის სიმბოლოა, რომ კრძალვენ ომში დაღუპულ მეომარს, ამ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს პრეზიდენტ ჯ. კენედის. სამგლოვიარო პროცესიის ამ მეწინავე ჯგუფისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით ჩამწკრივდნენ ავტომანქანები, რომლებშიც ისხდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეები. პირველ ავტომანქანაში იყვნენ პრეზიდენტის ქვრივი, განსვენებულის ძმები.

10 საათსა და 50 წუთზე სამგლოვიარო პროცესია დაიძრა თეთრი სახლისაკენ.

სამგლოვიარო პროცესია ნელა მიდის პენსილვანიის ავენიუთი. სამხედრო ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მელოდიას, ასიათასობით ამერიკელი მჭიდრო მწკრივად დგას პროცესიის მსვლელობის გზის გასწვრივ, უკანასკნელად ეთხოვება თავის პრეზიდენტს.

სამგლოვიარო კორტეჟი მიადგა თეთრი სახლის ჩრდილოეთ პორტიკს. განსვენებული პრეზიდენტის ქვრივი, ძმები და უახლოესი ნათესავები გამოვიდნენ ავტომანქანებიდან და პირველნი დადგნენ პრეზიდენტის კუბოსთან, შემდეგ დადგნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი და მისი მეუღლე, უცხო სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენელნი, რომელნიც დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ, და მათ შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

შემდეგ დგებიან ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრები, კონგრესის ლიდერები, მთავრობის წევრები, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები.

11 საათსა და 38 წუთზე პრეზიდენტის ცხედრის სამგლოვიარო კორტეჟი დაიძრა წმიდა მთის საკათედრო ტაძრისაკენ, სადაც გაიმართა სამგლოვიარო წირვა.

წირვა წმიდა მთის ტაძარში ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. წირვის დამთავრების შემდეგ განსვენებული პრეზიდენტის ცხედარი გამოასვენეს ტაძრიდან და კვლავ დასვენეს ქვემეხის ლაფეტზე. ეს საკითხი ტელევიზიისა და რადიოს კომენტატორებმა დააყენეს პრეზიდენტ კენედის „ვაშინგტონი მოკლედ“ რამდენიმე საათის განმავლობაში. ამ ორ ადგილზე ერაყის სამხედრო ავიაციამ ჩაუშვა ბომბები. ერაყის ავიაციის ეს ბომბდამშენები ეკონომიურ ობიექტებს, ძირითადად ნავთობის ჭებს, ანადგურებენ. ეს ბომბდამშენები ერაყის ტერიტორიიდან ფრენენ ირანის ტერიტორიაზე, ირანიდან ფრენენ ერაყის ტერიტორიაზე, ბომბავენ ერაყის ეკონომიურ ობიექტებს, ბრუნდებიან ირანში, ირანიდან ფრენენ ერაყის ტერიტორიაზე, ბომბავენ ერაყის ეკონომიურ ობიექტებს, ბრუნდებიან ირანში, ირანიდან ფრენენ ერაყის ტერიტორიაზე, ბომბავენ ერაყის ეკონომიურ ობიექტებს, ბრუნდებიან ირანში. ეს ბომბდამშენები ერაყის ტერიტორიაზე

ევგენიეს ისტორია

Evgenia Ivanovna

ლეონიდ ლეონოვი

მოთხრობა

ევგენიეს ისტორიის შემდეგ, რაც 1906 წლის ოქტომბერში არეულობაში მიიღო ბენგალიაში, ინგლისელს სტანჯავდა ნევრალგიის შეტევები. მოგზაურობაში ევგენია ივანოვნა მიეჩვია დახმარება გაეწია: გათხოვებას თითქმის არ მოუმატებია მისთვის საზრუნავი. ახლა იგი უბრალოდ უწოდებდა მას დოქ. ამერიკიზულად ამოკლებდა რა მის მეცნიერულ წოდებას... სასაცილო შიში მალე გაიფანტა, ღმერთები საკმაო კეთილსაყოველთაოდ მოეპყრნენ ახლადდაქორწინებულთ. ცოლ-ქმარ პიკერინგების ნემოდნებში ნივთები იმის მიხედვით გადაალაგ-გადმოალაგეს, რომ ორივესთვის უფრო მოხერხებული და მაზგიერ-ბაში რაციონალური ყოფილიყო. ცოლის საამებლად უკან დაბრუნების მარშუტი შედგენილი იყო კონსტანტინოპოლზე გავლით: ევგენია ივანოვნას ძალიან ენატრებოდა ერთხელ კიდევ მჯდარიყო სვეტრში აია-სოფიის წინ, სადაც ოდესღაც ესოდენ ძლიერ სურდა მომკვდარიყო. და უეცრად ინგლისური პასპორტის მიღების წინადღეს, როცა ევგენია ივანოვნასთვის ოღებოდა სანატრელი, უზრუნველყოფილი მომავალს ,კარი, მის მდგომარეობაში რომ დამკიდებული აღარ იყო შიშზე, შიმშილზე ან სხვის უცვლელ ნებაზე, იგი მოულოდნელად გახდა ავად.

რამდენადაც წინ მიდიოდნენ ჩრდილოეთისაკენ სულ უფრო იჩრდილებოდნენ მის თვალში მოგზაურობის მომხიბველი ზვრილმანები, სიცოცხლის დაუოკებელ სახარულს კი ცვლიდა წუხილისა და მარტობის სიცივე. ევგენია ივანოვნა იყიებოდა და ცოტა ლიანი, დაწოლებული თვალებით გაჰყურებდა ჩრდილოეთში ჯერ მიუღწეველ, ლურჯი ნისლით დაფარულ ჰორიზონტს. თურქეთის მედიცინის მნათობებმა ქალის ორგანიზმში ვერ აღმოაჩინეს რაიმე საშიში ცვლილება, მაგრამ უხილავი სენი სულ უფრო მკაცრად უკარგავდა ფერს, როგორც კედელზე ჩამორეცხილ ფრესკას. ზრდა გარეჯულობასთან ერთად დაიკარგა კანის სინორჩე, ჩამქრალი ღიმილის შემდეგ ჩაუბნელდა თვალები, ცოლის სპაზმატური ღუმილი, რომელშიც შეღწევას ვერას გზით ვერ ახერხებდა მისტერ პიკერინგი, უფრო ძლიერადაც კი აშინებდა მას, ვიდრე ფიზიკური ჯანობა. რათა თავიდან აეცილებინა გიჟური აღსასრული, რასაც მიმართავდნენ ხოლმე რუს ლტოლვილთა შორის, ინგლისელმა თავისი რწმენის წინააღმდეგ ჩარეკას მიმართა. ქალის ნესსერის საიდუმლო კუთხეში ივანოვნა ოქროს ბეჭედი, რომელიც მას არ უჩუქნია. მისტერ პიკერინგს, რომელმაც ამ დროისათვის უკვე ბევრი რამ იცოდა, არ სწყენია აგრეთვე ბეჭდის შიგამხარეზე ამოკვეთილი მამაკაცის კნინებითი სახელი, რომელიც მისი სახელი როდი იყო, მაგრამ იცოდა კი — ვისი. იგი სხვა რამეს გააკვირვა: ეს მცირე ფასეულობა როგორ გადაურჩა ევგენია ივანოვნას თუნდაც პარიზში სიღატაკის დროს, როცა ღირსებისა და არსებობის საკითხს ლუკმაპური წყვეტდა. მიღწეული ბედნიერების მოკრიალებულ ცაში კვლავ ჩნდებოდა ეჭვის ღრუბლები, რომელსაც ჯერ კიდევ დამასკოში ამჩნევდა. ამრიგად, გახრწნილმა, საშინელი წოდების ახალგაზრდა რუსმა ბატონმა კვლავ დაიწყო სიარული ინგლისელის სახლში უკანა კარიდან!

მეორე დღეს ინგლისელი შემთხვევით წაადგა თავს ცოლს, როცა იგი ათვალიერებდა ძველ გაზეთს. მართალია, გაზეთი ბყის სადღაც დამალა, მაგრამ ევგენია ივანოვნამ ვერ მოასწრო მეუღლისათვის დაემალა. თავისი ნამტირალევი სახე. იმავე ღამეს კვლავ როგორღაც უნებლიეთ ჩემოდნის მორღვეულ სარჩულში აღმოაჩინა ის უცნაური, ნაკეცებზე გაცრეცილი გაზეთის ფურცელი, რომელიც იყო მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ოფიციალური ორგანო, სათაურის მიხედვით რომ რუსეთის ელის ერთ-ერთ ქალაქში იყო დაბეჭდილი. ეს ნაპოვნი მისტერ პიკერინგს უმხელდა, რომ არსებობს მეორე, საიდუმლო გეგმა მისი ცოლის ცხოვრებაში, რაც საბედნიეროდ, საკმაო არ არის ევროპაში პასუხისგებისათვის. მაგრამ, მაინც კიდევაც რომ უგულებელყო კანონიერი გაკვირვება, თუ რა გზით ჩაუვარდა ხელში მისი ოდიდებულესობის ქვეშევრდომს სულ ერთი წლის ხანდაზმულობის პროვინციული საბჭოთა გამოცემა, იმდენადაც არა ნაკლებ მართებული კითხვა: რა იზიდავდა ლტოლვილ ქალს ბოლშევიკურ მქუხარე ფილიპიკებში დასავლეთის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ გერიცენის დროიდან ბრიტანელი მეცნიერი ოქტომბრის რევოლუციის გაკვლევის მეგობართა ჯერ ჯერობით არამარავალრიცხოვან აქტივში. ამით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ თითქმის დაუყოვნებლივ ანა ივანოვნა საბჭოთა ვიზა, რაც უმაგალითო იყო იმ წლების უცხოელ ტურისტთა მოგზაურობის პრაქტიკაში — გაეგლო ამიერკავკასიაზე.

ცოლმა უხმო მადლობით დაადო ხელები პიკერინგს მხრებზე, — როგორ უყვარდა ეს ოდნავ დიდრონნი, მოწყალე ხელები.

— თქვენ მართლაც არამთა ზღაპრების ძლიერი და გამჭრიახი იფრიტი ხართ, — უთხრა მან შემდეგ, — გპირდებით, რომ ერთი წუთითაც არ დაიგვიანებთ ლექციებზე. ვიგონიდან არც კი გამოვალ, მხოლოდ ერთი საათით ვისეირნებთ ერთ პატარა მიყრუებულ ქალაქში ოხტოვის იქით... თუმცა იქ თქვენი მიმოხილვისათვისაც მოიძებნებოდა გაუთხრელი ყორღანები... ჰოდა, ნუღარ ჯავრობთ, მე იმ მიწისაგან ვარ გაკეთებული, ძვირფასო!

არსებითად რომ ითქვას, ევგენია ივანოვნა რუსეთშიც იმისათვის მიდიოდა, რომ გამოეთხოვა თავისუფლება, რათა სამშობლო აღარ ეწვალებინა ღამის ძახილით, გაეშვა იგი, ლტოლვილი, სრულიად უსარგებლო ახლა, რა თქმა უნდა. უმჯობესია იქ მისვლა ზაფხულში, რომ კარგად, დასამახსოვრებლად გაილუმპიეს ოავსხმაში, თუმცა არც ის იქნება ცუდი. რომ სამყოფად გაითშოს ზამთარში ტროპიკოს და ყური მიუგდო თოვლით გაწმენდილ სიჩუმეს. არანაკლები ინგლისელმა კითხვის თვალი მიაპყრო ცოლს, რაკი იცოდა მისი გეგმა და განზრახვა, მან კი ბედნიერმა და წამაწოთილ-ლმა ღელვამ, დაუთმო გულითადი სტუმართმოყვარეობის შეტევას. მართლაც, კახეთისაკენ გაფაზვევა შესაძლებლობას აძლევდა, სანამ რაღაც **მთავარი** და უკვე მოახლოებული დადგებოდა, მოეფიქრებინა ყოველივე, რაც შეწუხებისა და მღელვარების გამო გზაში ვერ მოასწრო. ყოყმანით თავის დახრას მასპინძლები ერთმხრივი მოწონებით შეხვდნენ. ხახულია დაპირდათ გამყოლად მიემაგრებინა მათთვის მთელ კავკასიაში საუკეთესო მეგზური, რომელმაც ფრანგული ენა იცოდა, და ტელეფონში ჩასძახა შემაშფოთებლად ნაცნობი გვარი, რომელიც ქართული სიტყვების ფეიერვერკმა დაფარა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ევგენია ივანოვნა ცდილობდა გონება არ დაეკარგა, კაბინეტში მის ზურგს უკან შემოვიდა ცოცხალი სტრატონოვი. ქალმა სარკეში დაინახა იგი და იცნო მოგლო, რეზინის სარჩულიანი ჯილეტის კურტაკით და ისეთივე გაკვეთილი შარვლით, რომლის ტოტები, ჩაშვებული ჰქონდა თვალის მომჭრელად ბაკრიალებულ, აგრეთვე კოსტანტინოპოლის დროინდელ კრაგებში. უცნაური თასმები და რგოლები გიდის ქამარზე აყურადღებას იქცევდნენ. მხარზე გადაკიდებული ჰქონდა საკეე ჩანთა; ნაცადი ალპინისტის ამ მოგონილ ნიღაბს აკვირვებენდა ორმაგლანჩიანი ნახმარი წყიები. რათა სახლოვანი სტუმრები წვრილმანებით არ დაეღალა, დირექტორმა საჭიროდ არ მიიჩნია მეგზური მათთვის წარდგინა და იმასაც თითქმის არ შეუხედავს სტუმრებისათვის... და აი მარშრუტის განხილვის დროს ეკითხა ივანოვნა ქმარს დაეხმარა რუსული ფრაზის გადათარგმნაში, რაც ინგლისელმა ვერ მოახერხა. მისი ხმის გაგონებაზე სტრატონოვმა თვალი მიაშტერა მის კეფას და წამით ისეთი სახე გაუხდა, თითქოს ზედ მათრახი უთავესო, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, სასუნთქში რაღაც გადასცდა და იხრჩობაო. ევგენია ივანოვნამ ალბ
კერად დაინახა სარკეში, რომ როცა დაბნეულობა გაუქრა, აქეთ იქით დაუწყო ძებნა დასაჯდომ ადგილს, რადგან მარტო ის იდგა ზეზე, მაგრამ თავისუფალ სავარძელზე სტუმრების ლაბადები ეწყო. მაშინ იგი გაბიდულად მიეყრდნო კარის წრთხლს.

— სიკვდილი ნუ გეჰქარება, ჯავალრო, გამოცოცხლდა...—შინაურულად და სრულიად მეგობრულად მიაძახა ხახულიამ,—აი-აი ასეთი გამოწრთობილი მეომარია და ავადმყოფ ბებიასავით კი გამოიყურება; ძვირფას სტუმრებს ვთხოვ შნოიანად დაინახონ საქონელი.

არაფერი არ იყო საწყენი ამ ხუმრობისა და შეწყნარების კილოში იმ კაცისათვის, რომელსაც ფეხი დაეცდა. სტრატონოვი მთელი თავისი შესანდაობით გამოხატავდა მზადყოფნას გაემართლებინა ნდობა. საჭირო იყო ევგენია ივანოვნას თანხმობა, მან დასტურის ნიშნად თავი დაკვნია. სრულიად არ ეშინოდა ქმრის მხრივ: ნაცვლად ნიშნადებული, იგი მეტად მაგრად იწვა მიწაზე, რომ არ წასჩხუბებოდა ჯერ კიდევ განუმტკიცებელი საბჭოთა-სახელმწიფოს გავლენიან მეგობრებს, გარდა ამისა, მეზგარობაში ეძლეოდა ხელსაყრელი შემთხვევა დაბრუნებინა სტრატონოვისთვის მისგან ნაჩუქარი ბეჭედი, რომელიც რაოდაც ოცნაირი ალღოს მეოხებით ამ შეხვედრისათვის შემოინახა. გამგზავრება დანიშნული იყო ხვალისათვის. არა, მას სრულიად არავითარი საფუძველიანი მოსაზრება არ ჰქონია, რათა ეარი ეთქვა სტრატონოვის მოსახურებაზე, და მაშინ ფრანგულის ცოდნისათვის კომპლიმენტის სახით, ნამდვილად კი ამისათვის, რომ ეცადნა შეთანხმებოდა ურთიერთობაზე მომავალ მოგზაურობაში. სტრატონოვმა ფრანგულად ჰკითხა ევგენია ივანოვნას, ყოფილა თუ არა მისის პიკერინგი როდისმე რუსეთში. ევგენია ივანოვნამ გამოიყენა უცხოელის უფლება არ ეპასუხნა ამ ქვეყნის მეტად ხშირ და მოურიდებელ ანკეტაზე.

კახეთში მოგზაურობის დროს სტრატონოვი მუდამ ფრანგულად ლაპარაკობდა ამ მიზნით, რომ ინგლისელს საეკვო ფიქრები არ აღძვროდა. ახლა კი პირისპირ ლაპარაკის დროს წინანდლის პარკში სტრატონოვის ფრანგულად მიმართვა, რაოდენ უნდა, ამით აიხსნებოდა, რომ ძლიერ სურდა ბოლომდე უცნობი დარჩენილიყო. ეს იყო აშკარა ვედრება, შემბობალეო... ნგრევის ხრიალი, რამაც ალაზნის ღამე შეარყია, უეცრად შეწყდა წყვდიადში მათს ოკან: ალბათ შოფერმა დაამთავრა, როგორც იქნა ,კარის შემტვრევა. ვიდაც მოდიოდა მათკენ. ფარანი ხელში ინძრეოდა და მონაცვლებით აშუქებდა სქელი ხევსურული წინდებით მოსილ ფეხებს.

— შეგვიძლია შინ შევიდეთ, შოფერს კარი გაუღეს. ნუბავი, ხელი გამომიწოდეთ, მისის პიკერინგ?

სტრატონოვის შორიდან გაგონილი ხმა შესამჩნევად ახლოვდებოდა: მგონი, მეგზურს იმედი ჰქონდა, რომ საქმე ბნელაში და უმოწმენოდ გათავდებოდა. ევგენია ივანოვნას კი პირვანდელი განზრახვა არც თუ მხოლოდ იმიტომ შეიცვალა, რომ ეშინოდა ამ სიბნელეში სასაცილო არ გავხდეო. გარდა ამისა, შეაღამისას ალაზნის ვილზე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, რომ ყველაზე ფარული ფიქრი დაუყოვნებლივ გასაგონი ხდებოდა.

ღამით ალიაქოთი ატყდა, ინგლისელს ცხელი საფენი დასჭირდა, მაგრამ მდუღარე ვერ იშოვნეს. ახალი სამყაროს ყოფა-ცხოვრებისათვის ფუფფუნება უცხო იყო, პატარა ,კარადაში აღმოჩნდა დანის მეფის ამომშრალი ნეკთები და ასევე მეფური ნარმაზშობის გაჭეკვებული ფხვნილი, ნიხანდლის სასახლის ძველ მფლობელთაგან რომ შემორჩენილიყო. იძულებული გახდნენ შეეზილათ შვიდის მიმეცემი საშუალებანი, რასაც ღამის მეორე ნახევარი შოანდომეს. შატლვები წყდებოდა ,უეცრად, ისე როგორ იწყებოდა, უშიდეგოდ.

ევგენია ივანოვნას დაახლოებით შუადღისას გაღვიძდა. ნამძინარევი თვალი მოავლო ალლოსფერი შტორით გაკრული ოდალეკს, რაც ღ-მით არ შეუმჩნევია საბნის შეჭმა. სუფლი ოთახი ათამდური მოსარქმის მოუფელელ სოფი დარბაზს უფრო ჩამოჰგავდა, მაგრამ ყველაფერს გამოსყიდდა პარკის მწვანე სიგრილე, ღია ტერასიდან რომ იჭრებოდა დახუთულ ბინდში. ღია ,კართან იჯდა ხალათჩაცმული გამომრთელებული ქმარი, რომელსაც ხელში ეჭირა ოქსფორდში გამოცემული ტომი; იგი რაღაც განსაკუთრებულად გრძელი იყო ამ ღილას და, ნამძინარევს ასე მოეჩვენა ერთი ფეხი მეორეზე ჰქონდა შემოხვეული.

ქალი ნეტარი შეგნებით გაიზმორა, რომ ახალგაზრდობის გაჭირვებას სიბერის გამწარება არ მოეახლოებინა. იგი თავს ახალშობილად გრძნობდა ამ ვრცელ საფეხურებიან და ჩარდახიან საწოლზე, რომელიც გაკეთებული იყო უცნობი გიგანტის ძვირნაფასებისათვის. ევგენია ივანოვნას ცხოვრება ძლივს დაიწყო, მარადისობა წინ ედო დაუხარჯავი. ტკბილი გარინდება დასაგეფრებოდა ტანში, რომლის ატლასისებრი ზედაპირის შეხება თვით მას სიამეს ანიჭებდა. ნებივრობდა და თვალებს ჭუტავდა, თანაც იმით ერთობოდა, რომ მისი ქმარი შუქის ისრულ ლაქაში იცარებოდა. უეცრად მოეჩვენა, რომ ძირა სართულში პირდაპირ მის ქვემოთ ტახტზე წევს სტრატონოვი, პირში პაპიროსი გაურჩვია და უტიფრად უცქერის, თვალი მისი ხვრეტს ხალიჩას, ზეწრისა და ჭერს.

სტრატონოვის სიხარულის ნახევრადცნობიერი შეგრძნება ღამის დანარჩენი დროის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა ევგენია ივანოვნას, მხოლოდ ძილით შეიძლებოდა მისი მომრება; ასეც მოიქცა. მართალია, მოხუჭა თუ არა თვალი სტრატონოვი მოშორდა, მაგრამ მალე ისევ დაეწია და რამდენიც არ ეწინააღმდეგა მთელი ოავისი არსებით მოუხვია, ცოცხალი, რომელსაც სრულიად აღარ ჰქონდა ის ნაკლოვანებანი, წინადღით რომ ცდილობდა შეეშჩნია. და ისე გადა-ეხლართათ ყველაფერი ერთმანეთში, რომ აღარ შეიძლებოდა გამოცნობა, 'სად თავდებოდა ერთი და იწყებოდა მეორე... უეცრად საწოლი ოთახი ისე გაფაფოთოდა, როგორც მოეფანი, და მოდღესასწაულე ხალხით გაიქცა, ანა საწოლი ბალდახინს რომ დაემსგავსა, ხალხში შეიჭრა და ვითომ ვერ ამჩნევდა, რაც გარშემო ხდებოდა...

გამოაღვიძა სიცივემ, ფეხებში რომ უღუტუნებდა, სამანი ძირს ჩავარდნილიყო. ორი ვარდი, წინათ რომ არ ყოფილა, საღამურ მაგიდაზე იდო საწოლის მახლობლად. იძავე მდგომარეობაში, მხოლოდ ახლა ჩაცმული და გაპარსული, მისტერ პიკერინგი იმავე ადგილს იჯდა და მუხლზე ცნობარი ედო; გამჭოლი ქარი აფრიალებდა ბრინჯის ,ქაღალდის ფურცლებს. ნებადაურთველ მოვლენათა დროს მოასწრო გადაეკითხა კახეთის ისტორია ალაზართან მეორის დატყვევებიდან თეიმურაზ პირველის ავბედობამდე, როგორც სასიყვარულო თქმულებებშია, საბრალო ურჩხენი სდარაჯობდა თავის ბატარას ,და სრულიად არ იცოდა რომ ,ქურდავდნენ.

მოძრაობის ხმაური რომ გაიგონა, მეორე მხარზე გადაიხვა და ცოლს მიუახლოვდა.

— ისე ფართხალებდით ძილში, ,ქენი, — უთხრა მისტერ პიკერინგმა და საწოლის ჩუქურთმიან სასთუმალს დაეყრდნო, — თითქოს მდევარს გაურბოდით... ორჯერ მოვედი თქვენთან.

ევგენია ივანოვნა ქმრის სიტყვებმა შეაძრწუნეს.

— საშინელი სიზმარი... —სასწრაფოდ დაეთანხმა და საბანი ნიკაპამდე დაიხურა, — რატომ არ გამაღვიძეთ?

— როცა მოვირბინე, უკვე იღიმებოდით... და გადაეწყვეტე თავისა-მეთქი. მერმე რა მოგდევდათ სახელდობრ, ძვირფასო? — მის ჩვეულებრივ ხმაში არაფერი ისმოდა, გარდა შემპარავი ალერსისა, რაც თავს წასწრებული დამნაშავის თვალში ვერაგობის ხერხად ,ითვლება. თავის დანაშაულში გამართლების შეუძლებლობამ ევგენია ივანოვნა აიძულა თავი დაეცვა ენაზე მომდგარი პირველი სიცრუით. არც თუ განსაკუთრებით უცდია თავის მოკატუნება, იგი მართლაც ცხრად დაფიქრებულა იმ პერიოდში დედის სიკვდილზე და ამას უკავშირებდა იმ ამბავს, რომ დედამ უკანხოოდ დაფსა მიწაში ორი ვერცხლის საფინჯანე და მამის ოქროს საათი, თანამოსამსახურეებმა ,ქურდეს. და ეს ამბავი რომ უფრო დასაჯერებელი ყოფილიყო, ევგენია ივანოვნამ იმ სამახსოვრო დღიდან დაიწყო როცა რომელიღაც იმდროინდელმა ხანმოკლე ხელისუფლებამ იმ საცოდავ ფასეულობათა ძებნაში მთელი მათი ნახევარი ეზო გადათხარა.

— დეიოს კი ,კვლებში პამიდორი კიდევ აუოდებელი ჰქონდა...

ინგლისელმა ცოლს ნახევარ ფრაზაზე შეაწყვეტინა.

— ნუ, ინჯრები, ,ქენი... სიზმრების მოყოლა ისეთი რამეა, როგორც დამწვარი ,ქაღალდის გაშლა: დაიბნევა!

გიჟური შიშით ატანილმა, ეს ,კაცი არ დავკარგოო, ევგენია ივანოვნამ მიმართა უხეშ ცდას თავისკენ მიეზიდა იგი, რათა ,ჩაეხშო მისი აშკარა ეჭვები. ინგლისელმა ფრთხილად მოიშორა მისი ხელები კისრიდან. ,ქალი ვერ მიხვდა, რომ ,ქმარს არ სურდა ჩასწვდომოდა ღალატს, რაც არსებითად არ ყოფილა, ამასთან ერთად ინგლისელს არ ხიბლავდა სინაზის ნაძირალი ნაკმარევი ,ქალისა. სასოწარკვეთილი იმის გამო, რომ შეეძლო ძილში იმ სხვა ,კაცის სახელი ეხსენებინა, ევგენია ივანოვნა აქვითინდა. სინანული ,ქალს მაწყვეტდა, ბალიშებს ასროლებდა, იბღალელი ცალი ხელის თითებით ცომივით ზელავდა ვარდს, მეორეთი კი ბიჭა წყალი ეკავა და შეტეტვ გათავებას ელოდებოდა. ,ქალს მხარზე ჩამოუცოცდა პერანგი, ბავშვური ცრემლები შიმეელ მკერდზე ეღვრებოდა, არაფერი ისე არ აორმაგებდა ცოლის უდანაშაულობაში, როგორც ეს ნამცეცა უსირცხვილობა.

როცა ,ქვითანი მინელდა, მისტერ პიკერინგმა შესაძლებლად მიიჩნია ჩარეულიყო ოდნავ მიწყნარებულ ,ქარიშხალში.

— დამშვიდდით, ნუ გამირბით, ნუ იძაბებით ჩემთან, ,ქენი, მე თქვენი სამუდამო მეგობარი ვარ... და მალე დალიეთ ეს წყალი, — დაიწყო მან და მკურნავი ხელი დაადო ,ჯერ კიდევ მოცახცახე მხარზე,—რაც უნდა მოხდეს, თუნდაც ყველაზე უარესი, მე თქვენ ტკივილს არ მოგაყენებთ... მაშ დაწყნარდით, აი აგრე, აგრე. სხვათა შორის, საიდანღაც ხომ არ გეცათ სამხარეულოს საამო სუნი? მე ავიიცი რაიმე სხვა სუნი, რომელიც თანაბარი ძალით ასე კეთილად გვაფუყებდეს, ამქვეყნიურ კეთილდღეობას. ტუფილად როდი იყო, რომ უძველეს ისრაელში ნოეს კიდობნის მშვიდობით ძირდაშვების შემდეგ ღმერთს ხატავდნენ ნეხტოების სახით, მსხვერპლის კვამლს რომ ისუნთქავდა. საუზმის დროს გიამბობთ ამ საგულისხმო ამბავს, რომელიც აქვე ახლოს ერთ-ერთ მთაზე მოხდა. აქედან ასოცდაათ კილომეტრზე, სამხრეთით, მაგრამ... ,ჯერ ჩაიცვეთ მალე! თქვენ ,ქმრად აირჩიეთ ფენომენალური ღორმუცელა, ჩემო ძვირფასო!

თარგმანი ა. ჭუმბაძისა.

(გაგრძელება იქნება)

მხატვარი ბ. როინიშვილი.

გაგრძელება. დასაწყისი იხილე ,ჩვენი გაზეთის №№ 274-275-ში.

,ქოველისტი ,სპორტი

გაცრუებული იმედები

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:2 (2:0). თბილისი. 26 ნოემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი მ. რუშენისი (რიგა).

„დინამო“ — კოტრიკაძე (ლეონავა), სიკინავა, ხუროცლავა, ბოლეი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, პეტრიაშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი; „ლოკომოტივი“ — ტუგოლუკოვი, კორენოვი, სოროკინი, ზაიცევი, მედვედევი, ბელიაკოვი, მანშინი (ლატიშევი), კოვალიოვი, სიაგინი, ბუბუკინი, გორშკოვი.

წინასწარ არაერთი აზრი გამოითქვა გუშინდელ მატჩზე, მის შესაძლო შედეგზე. მართლაც, რომ ეს ორი ორი კოლექტივის გასაჭირი ფინიშთან. რომელი მაგანის ოცნებას შეეხსა ხორცი? დინამოელთათვის ოცნება ოცნებად დარჩა. ლოკომოტიველებმა კი ამ პაექრობიდან ქულა მოიპოვეს.

პირველ ტაიმში ინდამოელები აგრესიულად იყვნენ განწყობილი. დასაწყისში რკინიგზელთა კართან ზედიზედ ორი კუთხური იქნა ჩაწოდებული. სტუმრები დაცვაზე გადავიდნენ, ყველა ცდილობდა როგორმე შეენელებინათ მეტოქის განუწყვეტელი იერიშები, „ კარის ალების“ საფრთხე.

მოსკოვის „დინამო“ —ჩემპიონი

უკანასკნელისწინა მატჩი მოსკოვის „დინამოს“ ალმა-ატაში ადგილობრივ „კაირატთან“ ჰქონდა. დინამოელებს ჩემპიონის წოდებისათვის მხოლოდ ერთი ქულა სჭირდებოდათ. ასეც მოხდა, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. დედაქალაქის დინამოელები, ქუთაისის „ტორპედოსთან“ უკანასკნელი მატჩის მიუხედავად 54 ქულით ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ.

უკანასკნელი შეხვედრა ჰქონდათ ავრეთვე დედაქალაქის სპარტაკელებს მოსკოვში ატლასიდერთან — ტამკენტის „პახტაკორთან“. არაბელსაყოველი ამინდის მიუხედავად მეტოქეებმა მაყურებლებს მიმზიდველი ფეხბურთი უჩვენეს. გატანილ იქნა 8 გოლი. მატჩის შედეგია ფრე — 4:4. **მოსკოვის „სპარტაკმა“ 52 ქულით მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

მესამე პრიზიორი 48 ქულით მინსკის „დინამო“ გახდა.

მერვე ტური

გუშინ ბაკოში გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგი მერვე ტური.

გათამაშების ლიდერი ჩაიკოვსკაია დამარცხდა კოზლოვსკაიასთან, კაკაბაძემ მოუგო პოსტნიკოვას.

საინტერესოდ წარიმართა სსრ კავშირის ჩემპიონის ზატულოვსკაიასა და კუშნირის პარტია კუშნირმა თეორიებით დებიუტიდან პერსპექტიული პარტია მიიღო და იგი თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბოკოვას მაჩვენებლები ჯერ კიდევ დაბალია. მერვე ტურში მან ყაიმით დამთავრა პარტია ბელავენეცთან. სკვეგინამ მოუგო დმიტრიევას, ივნატიევამ — რანიკუს, ვოლპერტმა — კანტოროვიჩს.

ექვსი ლიდერი

ვუშინ ლენინგრადში მოეწყო საკავშირო ჩემპიონატის პირველ ორ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. ნეიმ მოუგო ზახაროვს, სუეტინმა — ბრონშტეინს, ფურმანმა — ბოდნარუკსა. ზახაროვ-პოლუგაევსკისა და ნეი-ტალიანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ორი ტურის შემდეგ ჩემპიონატს 6 ლიდერი ყავს. ესენი არიან — გელერი, ხოლმოვი, ბაგატროვი, ნეი, სუეტინი და ფურმანი. თვითეულ მათგანს ქულანახევარი აქვს.

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი.

,ბოლოდროინდელი ,ბრძოლები

ამოიცანა, გადაწყვეტა ,ბოლოს ,ბრძოლაში. მე-4 წუთზე ,ბურბანიელმა, რომელიც სალაყეში ბარ-ქაია ეკეთა, მოაყენა მეტ-რეველი დარტყმა და გოლი. ეს იყო ,ბა-ბალ. ,ბალ-ბალ-ბალ. ,ბალ-ბალ-ბალ. ,ბალ-ბალ